



თბილისი დაფლვევა



დაფლვევის პირობები
სს თბილისი ბანკის მენაბრის
სიჯოსხლის ვადიანი დაფლვევა

DEPL-001/20



სარჩევი

ტერმინთა განმარტება	4
დაზღვევის საგანი	7
1. ვინ შეიძლება იყოს დაზღვეული / დაზღვევის პროცედურა	7
2. დაფარული რისკები და ბენეფიტები.....	7
3. გამონაკლისები	8
4. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძვლები	11
5. დაზღვევის ხელშეკრულება და მისი ძალაში შესვლის წესი.....	12
6. სადაზღვევო პრემია და მისი გადახდის წესი.....	12
7. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის წესი	13
8. შეტყობინებები და კომუნიკაცია	14
9. დავათა გადაწყვეტა	15
10. კონფიდენციალობა	15
11. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება	15



სადაზღვევო დაფარვები



მნიშვნელოვანი ინფორმაცია



გამონაკლისები

ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დაზღვევის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ ქვემოთ მოცემული მნიშვნელობები:

გზღვევლი

სს „თიბისი დაზღვევა“, ჩვენ

დაზღვევი/დაზღვეული/მენაბრი

18 წლიდან 60 წლის ჩათვლით ასაკის ფიზიკური პირი, რომელსაც გახსნილი აქვს ანაბარი სს „თიბისი ბანკში“ და რომელიც პასუხისმგებელია სადაზღვევო პრემიის გადახდაზე.

მოსარგებლე

პირი, რომელიც უფლებამოსილია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება.

დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში, მოსარგებლეს წარმოადგენს სადაზღვევო პოლისში მითითებული პირი. ასეთის არარსებობისას ან თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის სადაზღვევო პოლისში მითითებული პირი გარდაცვლილია, მოსარგებლეს წარმოადგენს დაზღვეულის სამკვიდრო მოწმობაში მითითებული პირ(ებ)ი, სამკვიდრო მოწმობაში მითითებული წესით ან/და პროცენტული თანაფარდობით.

უბედური შემთხვევით გამოწვეული სრული მუდმივი შრომისუნარობის დადგომის შემთხვევაში, მოსარგებლეს წარმოადგენს დაზღვეული ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

სადაზღვევო თანხა

თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისას, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება მოსარგებლეზე.

სადაზღვევო თანხა უდრის დამზღვევსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის გაფორმებული, ანაბრის ხელშეკრულებით დადგენილი ანაბრის ოდენობას, მაგრამ არაუმეტეს 100'000 აშშ დოლარის, 85'000 ევროს ან 300'000 ლარისა ერთ სადაზღვევო პოლისზე, ანაბრის თანხისა და ვალუტის შესაბამისად.

ერთ მენაბრზე ერთზე მეტ ანაბართან მიმართებით სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში, ყველა სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო თანხების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 100'000 აშშ დოლარს, 85'000 ევროს ან 300'000 ლარს. ამასთან, ერთ მენაბრზე ერთზე მეტი პოლისის არსებობისას, თუ ეს პოლისები გაცემულია სხვადასხვა ვალუტაში, გაცემული პოლისების სადაზღვევო თანხების ჯამის განსაზღვრის მიზნებისთვის მოხდება სადაზღვევო თანხ(ებ)ის კონვერტაცია ეროვნულ ვალუტაში, თითოეული პოლისის გაცემის დღეს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით და ამ წესით დათვლილი ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 300'000 ლარს.

სადაზღვევო თანხების ჯამური ოდენობის მიუხედავად, მზღვეველის მიერ ყველა სადაზღვევო პოლისით ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა შემოიფარგლება 100'000 აშშ დოლარით, 85'000 ევროთი ან 300'000 ლარით, ანაბრის ვალუტის ან ზემოთ განსაზღვრული წესის შესაბამისად.

ანაბარი

სს „თიბისი ბანკში“ დამზღვევის მიერ გახსნილი, ე.წ. „ვადიანი ანაბარი“, რომლის ოდენობა უდრის ან აღემატება 1'600 აშშ დოლარს, 1'400 ევროს ან 5'000 ლარს, ანაბრის ვალუტის შესაბამისად და რომლის ვადა არ არის 12 (თორმეტი) თვეზე ნაკლები.

სადაზღვევო ანაზღაურება

თანხის ოდენობა, რომელსაც მზღვეველი უხდის მოსარგებლეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას და რომელიც უდრის სადაზღვევო თანხას. სადაზღვევო ანაზღაურება მზღვეველის მიერ მოსარგებელზე ყოველთვის გაიცემა სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

სადაზღვევო შემთხვევა

დაზღვეული პირის ბუნებრივი მიზეზით ან უბედური შემთხვევით გამოწვეული, სადაზღვევო პერიოდში დამდგარი გარდაცვალება ან სადაზღვევო პერიოდში დამდგარი უბედური შემთხვევით გამოწვეული სრული მუდმივი შრომისუნარობა, ასევე დამდგარი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში (გარდა დაზღვევის პირობებით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა).

უბედური შემთხვევა

გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი შემთხვევა, გამოწვეული თვალსაჩინო გარეგანი ძალების ზემოქმედებით, რომელიც განაპირობებს დაზღვეულის გარდაცვალებას ან დაზღვეულის სრული მუდმივი შრომისუნარობის დადგომას.

სრული მუდმივი შრომისუნარობა

მხოლოდ უბედური შემთხვევით და არა რაიმე სხვა დამოუკიდებელი მიზეზით გამოწვეული სხეულის დაზიანება, რომელიც უბედური შემთხვევის დადგომიდან 12 (თორმეტი) კალენდარული თვის განმავლობაში გამოიწვევს დაზღვეულის შრომისუნარიანობის სრულ მუდმივ დაკარგვას და ამ პერიოდის დასრულების შემდგომაც მდგომარეობის შეცვლის პროგნოზი უიმედო იქნება, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნით (ორგანიზმის ძირითადი ფუნქციების მკვეთრად გამოხატული დარღვევა - მეოთხე ხარისხი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წ 13 იანვრის ბრძანება 1/6 შესაბამისად).

დაზღვევის ტერიტორია

მთელი მსოფლიო.

სადაზღვევო პერიოდი

სადაზღვევო პერიოდი წარმოადგენს დროის შუალედს, რომლის განმავლობაშიც მოქმედებს სადაზღვევო დაფარვა და რომლის განმავლობაშიც დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას.

სადაზღვევო პერიოდი შეადგენს 1 (ერთი) წელს და არის ავტომატურად განახლებადი, ანალოგიური ვადით და პირობებით. ამასთან, სადაზღვევო პოლისის (როგორც

თავდაპირველის, ისე განახლებულის) მოქმედება, მენაბრისთვის დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე, შეწყდება ანაბრის ვადის დასრულების ან მენაბრის მიერ ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტისას, თავდაპირველი პოლისის გაცემის თარიღის 36 (ოცდათექვსმეტი) თვის თავზე ან როდესაც დაზღვეულს შეუსრულდება 61 წელი, ამათგან რომელიც უფრო ადრე დადგება.

სადაზღვევო კრემია

დაზღვევის საფასური, რომლის ოდენობა და გადახდის წესი მითითებულია სადაზღვევო პოლისში.

მოცდის პერიოდი

პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევის ხელშეკრულებით დაფარული რისკის დადგომის შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა. მოცდის პერიოდი შეადგენს დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარულ დღეს და მოქმედებს მხოლოდ ბუნებრივი მიზეზით გამოწვეული გარდაცვალების რისკის დადგომის ან წინამდებარე პირობებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

დაზღვევამდე არსებული დაავადება / პათოლოგიური მდგომარეობა

დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე დიაგნოსტირებული დაავადება ან/და ჯანმრთელობის პრობლემა, რომელიც არსებობდა დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე. დაზღვევამდე არსებული დაავადებით/პათოლოგიური მდგომარეობით გამოწვეული გარდაცვალების ან/და უბედური შემთხვევის დადგომისას, მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან.

დაზღვევის საგანი

წინამდებარე დაზღვევა ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას მოსარგებლეზე, დაზღვეული პირის ბუნებრივი მიზეზით ან უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების ან უბედური შემთხვევით გამოწვეული სრული მუდმივი შრომისუნარობის შემთხვევაში, გარდა ამ დოკუმენტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.



1. ვინ შეიძლება იყოს დაზღვეული / დაზღვევის პროცედურა

- 1.1 დაზღვეულის ასაკი დაზღვევის ძალაში შესვლის თარიღისთვის არ უნდა იყოს 18 წელზე ნაკლები და 60 წელზე მეტი.
- 1.2 დაზღვევას არ ექვემდებარებიან პირები, რომლებიც საჭიროებენ მუდმივ მოვლას (დახმარებას ყოველდღიური საყოფაცხოვრებო აქტივობის შესასრულებლად), მაგრამ ეს შეზღუდვა არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც აღმოჩნდნენ აღნიშნულ მდგომარეობაში წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ.
- 1.3 წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაზღვევის შექენით დამზღვევი აცხადებს წინასწარ თანხმობას და ანიჭებს მზღვეველს უფლებამოსილებას, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მზღვეველმა ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულებისგან ან/და ნებისმიერი სხვა მესამე პირისგან გამოითხოვოს დაზღვეულის სამედიცინო ჩანაწერები და სხვა სამედიცინო ინფორმაცია, ასევე ნებისმიერი პერსონალური ინფორმაცია.
- 1.4 მოცდის პერიოდი არ შეეხება იმ დაზღვეულებს, ვინც ვადიანი ანაზღაურებას და სადაზღვევო პერიოდის ამოწურვის შემდეგ უწყვეტად (ანუ იმავე თარიღში) განაახლებენ ვადიან ანაზღაურებას იგივე ან ნაკლებ თანხაზე და ამავდროულად გააფორმებენ სადაზღვევო პოლისს.
- 1.5 თუ არსებული პოლისის გაუქმებას ან/და ამოწურვასა და ახალი სადაზღვევო პოლისის გაფორმებას შორის იქნება წყვეტა ან თუ ახალი სადაზღვევო პოლისი გაფორმდება გაზრდილ სადაზღვევო თანხაზე, მოცდის პერიოდის ათვლა დაიწყება თავიდან.



2. დაფარული რისკები და ბენეფიტები

წინამდებარე დაზღვევით დამზღვევი აზღვევს საკუთარ ფინანსურ ინტერესს შემდეგ რისკებზე:

- სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, მოცდის პერიოდის ამოწურვის შემდეგ, დაზღვეული პირის გარდაცვალება ბუნებრივი მიზეზით;
- სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეული პირის გარდაცვალება, გამოწვეული სადაზღვევო პერიოდში მომხდარი უბედური შემთხვევით;
- სადაზღვევო პერიოდში დაზღვეული პირის სრული მუდმივი შრომისუნარობის დადგომა, რომელიც გამოწვეულია სადაზღვევო პერიოდში მომხდარი უბედური შემთხვევით.

- 2.1 მოცდის პერიოდის ამოწურვის შემდეგ დაზღვეულის ბუნებრივი მიზეზით გარდაცვალების შემთხვევაში, მოსარგებლე, სადაზღვევო ანაზღაურების სახით, მიიღებს სადაზღვევო პოლისში მითითებულ სადაზღვევო თანხას.

- 2.2 სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეულის უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში, მოსარგებლე, სადაზღვევო ანაზღაურების სახით, მიიღებს სადაზღვევო პოლისში მითითებულ სადაზღვევო თანხას.
- 2.3 სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეულის უბედური შემთხვევის შედეგად სრული მუდმივი შრომისუნარობის დადგომის შემთხვევაში, დაზღვეული მიიღებს ყოველთვიურ სადაზღვევო ანაზღაურებას. ყოველთვიური ანაზღაურება გაიცემა შემდეგი წესით:
- თუ სადაზღვევო თანხა 10'000 აშშ დოლარზე, 8'500 ევროზე ან 30'000 ლარზე ნაკლებია, ყოველთვიური ანაზღაურება გაიცემა 1 წლის განმავლობაში, ყოველთვიურად, სადაზღვევო თანხის 1/12-ის ოდენობით, სადაზღვევო თანხის ამოწურვამდე.
 - თუ სადაზღვევო თანხა 10'000-20'000 აშშ დოლარი, 8'500-17'000 ევრო ან 30'000 – 60'000 ლარია, ყოველთვიური ანაზღაურება გაიცემა 2 წლის განმავლობაში, ყოველთვიურად, სადაზღვევო თანხის 1/24-ის ოდენობით, სადაზღვევო თანხის ამოწურვამდე.
 - თუ სადაზღვევო თანხა აღემატება 20'000 აშშ დოლარს, 17'000 ავროს ან 60'000 ლარს, ყოველთვიური ანაზღაურება გაიცემა 3 წლის განმავლობაში, ყოველთვიურად, სადაზღვევო თანხის 1/36-ის ოდენობით, სადაზღვევო თანხის ამოწურვამდე.
- 2.4 თუ სადაზღვევო თანხა პოლისში განსაზღვრულია აშშ დოლარში ან ევროში, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ლარში, გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად.
- 2.5 წინამდებარე პირობების 2.3 პუნქტით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის ამოწურვისას, მზღვეველის ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად და გარდაცვალების რისკი ანაზღაურებას არ დაექვემდებარება.
- 2.6 2.3 პუნქტით გათვალისწინებული ყოველთვიური ანაზღაურების გაცემის პერიოდში სადაზღვევო თანხის ამოწურვამდე დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში, მოსარგებლეს აუნაზღაურდება სადაზღვევო თანხის ოდენობას გამოკლებული დაზღვეულზე გაცემული ყოველთვიურად ანაზღაურებული თანხების ჯამი.



3. გამონაკლისები

- 3.1 წინამდებარე პირობების თანახმად, დაზღვეულის გარდაცვალების და/ან უბედური შემთხვევით გამოწვეული მუდმივი სრული შრომისუნარობის რისკის დადგომის შემთხვევაში დამდგარი ზარალი მზღვეველის მიერ არ ანაზღაურდება, თუ ის პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია შემდეგი მოვლენებით:
- 3.1.1 მოცდის პერიოდის განმავლობაში ბუნებრივი მიზეზით დამდგარი გარდაცვალება;

- 3.1.2 ნარკოტიკული ნივთიერებების, ტოქსიკური, ფსიქოტროპული ან ალკოჰოლური ნივთიერებების ზემოქმედება და მათი მოხმარებით გამოწვეული გართულებები; ასევე, თუ დაზღვეული სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში იმყოფებოდა ალკოჰოლის და/ან ნარკოტიკული და/ან ტოქსიკური და/ან ფსიქოტროპული ნივთიერებების მოქმედების ქვეშ*, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალება დანიშნულია შესაბამისი სამედიცინო ჩვენებით, სერტიფიცირებული ექიმის მიერ;
- 3.1.3 დაზღვეულის გარდაცვალება გამოწვეულია შიდსით, აივ-ინფექციით ან B ან C ჰეპატიტით ან მათი გართულებებით;
- 3.1.4 უბედური შემთხვევა, რომელიც გამოწვეულია მალთაშუა დაზიანებით, შინაგანი ორგანოებიდან სისხლდენით, ან/და თავის ტვინში სისხლჩაქცევით ან ინსულტით;
- 3.1.5 თვითმკვლელობა, თვითდაზიანება ან მათი მცდელობა;
- 3.1.6 დაზღვევამდე არსებული დაავადება/პათოლოგიური მდგომარეობა;
- 3.1.7 დაზღვეულის მონაწილეობა საქართველოს (ან გარდაცვალების/უბედური შემთხვევის ადგილის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის) კანონმდებლობით გათვალისწინებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში;
- 3.1.8 დაზღვეულის ნებაყოფლობითი მონაწილეობა ომში (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), სამოქალაქო ომში, აჯანყებაში, რევოლუციაში, გაფიცვაში, ხელისუფლების სამხედრო გადატრიალებაში;
- 3.1.9 დაზღვეულის გარდაცვალების ან შრომისუნარობის მიზეზი გახდა პირდაპირ ან ირიბად დაზღვეულის ან/და მოსარგებლის განზრახ ქმედება;
- 3.1.10 დაზღვეულის გარდაცვალება/შრომისუნარობა მოჰყვა ნებისმიერ ტერორისტულ აქტს. ტერორისტული აქტი გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება, პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური ან ეთნიკური მოტივით სახელმწიფოზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ან/და საზოგადოების ან მისი რომელიმე ნაწილის დაშინების მიზნით გამოყენებულ ძალას ან ძალადობას და/ან მუქარას ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ, მიუხედავად იმისა, მოქმედებენ ისინი მარტო თუ რაიმე ორგანიზაცი(ებ)ის ან ხელისუფლებ(ებ)ის სახელით ან მათთან შეთანხმებულად;
- 3.1.11 დაზღვეულის ფსიქიკური ავადმყოფობა, მაგრამ ეს შეზღუდვა არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც ფსიქიკურად დაავადდნენ დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისა და მოცდის პერიოდის ამოწურვის შემდეგ;
- 3.1.12 დაზღვეულის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ის საჭიროებს მუდმივ მოვლას (დახმარებას ყოველდღიური საყოფაცხოვრებო აქტივობის შესასრულებლად), მაგრამ ეს შეზღუდვა არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც აღმოჩნდნენ აღნიშნულ მდგომარეობაში დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ;

- 3.1.13 დაზღვეულის მონაწილეობა შემდეგი მაღალი რისკის შემცველ აქტივობებში: საბრძოლო სახეობები, აკვალანგიტ ყვინთვა, ნადირობა, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, ჯომარდობა, პარაშუტით ხტომა, დელტა- და პარაპლანერიზმი, ავტო და მოტო რბოლა, დოლები, მღვიმეებსა და გამოქვაბულებში ყოფნა და გადაადგილება, ექსტრემალური და პროფესიული სპორტის სახეობები, ავიაცია და მასთან დაკავშირებული სპორტის სახეობები; დაზღვეულის გარდაცვალება/შრომისუნარობა მოჰყვას სანაძღლოს, აკრობატულ ოინებს, ნებისმიერი სახის რეკორდის დამყარებას, მის მცდელობას ან მისთვის მზადებას;
- 3.1.14 ავტომობილის ან/და სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვა შესაბამისი მართვის მოწმობის გარეშე ან/და ავტომობილის ან/და სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვა ნარკოტიკული, ტოქსიკური, ფსიქოტროპული ან ალკოჰოლური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ*;
- 3.1.15 დაზღვეულის ყოფნას ან მონაწილეობას: პოლიციის, სამხედრო ფლოტის, ჯარის ან სამხედრო საჰაერო ძალების შემადგენლობაში ან სამხედრო ოპერაციებში;
- 3.1.16 დაზღვეულის პროფესიულ საქმიანობას, როგორცაა მაღაროში, მიწისქვეშა, ქვის სამტეხლოში, ფეთქებად-საშიშ მასალებთან და საომარ აღჭურვილობასთან, ნავთობ პროდუქტებთან, მაღალი ძაბვის კაბელებთან, ნავთობ და გაზ-ჭაბურღილის ბურღვასთან, საშიშ ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სამუშაოები;
- 3.1.17 დაზღვეულის გარდაცვალება/შრომისუნარობა გამოიწვია ბირთვული ენერჯით (ბირთვული რეაქციები, რადიაცია, დაბინძურება) ნებისმიერმა დაზიანებამ ან დაავადებამ, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოყვას ბირთვული საწვავით ან ბირთვული საწვავის აფეთქებით გამოწვეულ იონიზირებულ დასხივებას ან რადიოაქტიურ დაბინძურებას;
- 3.1.18 საავიაციო რისკები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზღვეული წარმოადგენს რეგულარული ან ჩარტერული ავიარეისის მგზავრს;
- 3.1.19 სამედიცინო დანიშნულების არაგონივრული უარყოფა; ასევე, დაზღვეულის მიერ არალიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობის კურსის ან თვითმკურნალობის შედეგად გამოწვეული ჯანმრთელობის გაუარესება;
- 3.1.20 ნებისმიერი შემთხვევა, თუ დადგენილი არ იქნება გარდაცვალების გამომწვევი დიაგნოზი. დაზღვეულის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება სადაზღვევო შემთხვევას არ წარმოადგენს;
- 3.1.21 ამ დოკუმენტით გათვალისწინებული, მზღვეველის მიერ ზარალის შესაფასებლად აუცილებელი საბუთების სრულყოფილად წარმოუდგენლობა.
- 3.1.22 მზღვეველისთვის დაზღვეულის ან/და მოსარგებლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის/ინფორმაციის სიყალბე ან/და შეუსაბამობა რეალურ ფაქტობრივ გარემოებებთან.

* ალკოჰოლური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა ავტომობილის ან/და სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის შემთხვევაში ჩაითვლება, თუ დაზღვეულის სისხლში ალკოჰოლის შემცველობა აღმოჩნდება 0.5‰ და მეტი, ხოლო სხვა ნებისმიერ შემთხვევაში 1.0‰ და მეტი.

4. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძვლები

- 4.1 დაზღვეული, დაზღვეულის წარმომადგენელი (დაზღვეულის მემკვიდრე/მოსარგებლე) ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უმოკლეს ვალებში, მაგრამ არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან, მიაწოდოს მზღვეველს შესაბამისი ინფორმაცია ცხელ ხაზზე +995 322 42 11 11 და მიაწოდოს შემდეგი დოკუმენტაცია:
 - 4.1.1 დაზღვეულის გარდაცვალების მოწმობის დედანი ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლი;
 - 4.1.2 სამედიცინო ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება გარდაცვალების გამომწვევი მიზეზ(ებ)ი (ფორმა #106) და სამედიცინო ცნობა ფორმა iv/100-ა;
 - 4.1.3 დაზღვეული პირის უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების ან სრული მუდმივი შრომისუნარობის შემთხვევაში, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილი და ხელმოწერილი აქტი;
 - 4.1.4 დაზღვეულის სრული მუდმივი შრომისუნარობის დადგომის შემთხვევაში ექსპერტიზის დასკვნა ორგანიზმის ძირითადი ფუნქციების მკვეთრად გამოსატული დარღვევის - მეოთხე ხარისხის ცნობით;
 - 4.1.5 სადაზღვევო პოლისი;
 - 4.1.6 დაზღვეულის პირადობის მოწმობის ასლი;
 - 4.1.7 მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლი;
 - 4.1.8 საჭიროების შემთხვევაში, ოჯახის წევრების (მეუღლის, შვილების, დედ-მამის, და-ძმის) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლები, ასევე ოჯახის წევრების (მეუღლის, შვილების, დედ-მამის, და-ძმის) დაბადების მოწმობის ასლები და დაზღვეულის ქორწინების მოწმობის ასლი;
 - 4.1.9 მოსარგებლის/მოსარგებლეების საბანკო რეკვიზიტები;
 - 4.1.10 სამკვიდრო მოწმობა, ხოლო მზღვეველის წინასწარი თანხმობის შემთხვევაში - სამკვიდროს მართვის მოწმობა;
 - 4.1.11 4.1.11 იმ შემთხვევაში, თუ მოწოდებული დოკუმენტაციით ვერ ხერხდება დაზღვეულის გარდაცვალების გამომწვევი მიზეზის დადგენა, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა;
 - 4.1.12 კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების დადგენის მიზნით, მზღვეველი იტოვებს უფლებას მოსარგებლეს მოსთხოვოს წინამდებარე მუხლში ჩამოთვლილი საბუთებისგან განსხვავებული, დამატებითი საბუთების წარმოდგენა,;

- 4.1.13 უბედური შემთხვევით გამოწვეული მუდმივი სრული შრომისუნარობის კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველი იტოვებს უფლებას დაზღვეულს მოსთხოვოს მზღვეველის მიერ მითითებულ სამედიცინო დაწესებულებაში და სპეციალისტ/ებ/თან დამატებითი სამედიცინო ექსპერტიზის გავლა;
- 4.2 დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში, ყველა აუცილებელი დოკუმენტაციის მიღების შემდგომ მზღვეველი 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში გასცემს მოსარგებლეს დაზღვევის პირობების შესაბამისად განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურებას ან უარს ეტყვის მოსარგებლეს ანაზღაურებაზე.
- 4.3 სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების გზით.
- 4.4 უბედური შემთხვევით გამოწვეული, დაზღვეულის სრული მუდმივი შრომისუნარობის დადგომის შემთხვევაში (რომელიც დადგინდება უბედური შემთხვევის დადგომიდან 12 (თორმეტი) თვის გასვლის შემდეგ), ყველა აუცილებელი დოკუმენტაციის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში მზღვეველი უარს იტყვის ანაზღაურებაზე ან გადასცემს დაზღვეულს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს ყოველთვიური ანაზღაურების გრაფიკს, რომლის მიხედვითაც განახორციელებს ყოველთვიურ ჩარიცხვებს დაზღვეულის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე, სადაზღვევო თანხის ამოწურვამდე.



5. დაზღვევის ხელშეკრულება და მისი ძალაში შესვლის წესი

- 5.1 დაზღვევის ხელშეკრულება ძალაში შედის სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის საწყისი თარიღის 24:00 სთ-ზე და მოქმედებს მასში მითითებული ვადის ბოლო თარიღის 24:00 საათამდე.
- 5.2 დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში შესასვლელად, დამზღვევი ვალდებულია სრულად და დროულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემიის ერთჯერადი ან პირველი ტრანში, სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი თავისუფალია სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან.



6. სადაზღვევო პრემია და მისი გადახდის წესი

- 6.1 სადაზღვევო პრემია გადაიხდება ლარში.
- 6.2 სადაზღვევო პრემიის ოდენობა და მისი გადახდის გრაფიკი მითითებულია სადაზღვევო პოლისში.
- 6.3 თუ სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული პირველი ტრანშის ან ჯამური პრემიის (თუ პოლისით გათვალისწინებულია ერთჯერადი გადახდა) გადახდა არ მოხდა დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების თვის შემდეგი კალენდარული თვის პირველ რიცხვამდე, მზღვეველი მოახდენს დაზღვევის ხელშეკრულების ანულისრებას საწყისი თარიღით, დამზღვევისთვის შეტყობინების გაგზავნის გარეშე.

- 6.4 სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის/ვადაგადაცილებისას (იგულისხმება სადაზღვევო პოლისში მითითებული გრაფიკით გათვალისწინებული ნებისმიერი გადახდა, გარდა პირველი გადახდისა) დამზღვევეს დამატებით აქვს ორკვირიანი ვადა გადახდის შესასრულებლად. ამასთან, თუ სადაზღვევო პრემია არ იქნება გადახდილი ამ 14 (თოთხმეტი) დღიან პერიოდში, 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ დამდგარი ზარალები არ ანაზღაურდება, ხოლო სადაზღვევო პოლისში მითითებული გადახდის თარიღის გადაცილებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის გასვლისთანავე (ოცდამეათე კალენდარული დღის 24 საათზე), მზღვეველის მიერ ცალმხრივად შეწყდება დაზღვევის ხელშეკრულება/სადაზღვევო პოლისი.
- 6.5 სადაზღვევო პრემიის გადახდაზე 30 (ოცდაათი) დღიანი ვადაგადაცილების მიზეზით მზღვეველის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია სრულად გადაიხადოს დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმების თარიღისთვის გამომუშავებული და გადაუხდელი სადაზღვევო პრემია.
- 6.6 დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას, თუ ანაბრის მოქმედება არ არის შეწყვეტილი და თუ დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტამდე ადგილი არ ჰქონია სადაზღვევო შემთხვევას, დამზღვევი ვალდებულია სრულად გადაიხადოს დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმების თარიღისთვის გამომუშავებული და გადაუხდელი სადაზღვევო პრემია და დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის პირგასამტეხლო, გამომუშავებული პრემიის 10%-ის ოდენობით.
- 6.7 დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას, თუ დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტამდე მზღვეველის მიერ მოხდა მიმდინარე დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა, დამზღვევი ვალდებულია სრულად გადაიხადოს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული ჯამური სადაზღვევო პრემია. ამასთან, მზღვეველი უფლებამოსილია გამოქვითოს ჯამური სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ნაწილი მის მიერ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების თანხიდან.
- 6.8 თუ დაზღვევის ხელშეკრულება წყდება დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზით, მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელ თანხას გამოაკლდება სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ჯამური სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ნაწილი.



7. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის წესი

- 7.1 დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედება შესაძლოა შეწყდეს:**
 - 7.1.1 დამზღვევის ინიციატივით, ნებისმიერ დროს, მზღვეველისთვის დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმებაზე წერილობითი მოთხოვნის მოწოდებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.
 - 7.1.2 მზღვეველის ინიციატივით, ნებისმიერ დროს, დამზღვევისთვის დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმებაზე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით.

- 7.1.3 მზღვეველის ინიციატივით, დამზღვევისთვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე, თუ:
- მზღვეველის მიერ შესაბამისი სადაზღვევო პოლისით ნაკისრი ვალდებულებები სრულადაა შესრულებული / ამოწურულია სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ანაზღაურების ჯამური ლიმიტი.
 - დაზღვეულს შეუსრულდა 61 წელი.
 - თავდაპირველი პოლისის გაცემის თარიღიდან ამოიწურა 36 (ოცდათექვსმეტი) თვე.
 - ანაბრის ვადა დასრულებულია ან ანაბარი ვადაზე ადრე შეწყდა მენაბრის მიერ.

7.2 დაზღვევის ხელშეკრულება ასევე შეწყდება:

- 7.2.1 შესაბამისი სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო პერიოდის დასრულებისას.
- 7.2.2 დაზღვეულის გარდაცვალებისას.
- 7.2.3 დამზღვევსა და მზღვეველს შორის გაფორმებული წინასწარი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
- 7.2.4 მზღვეველის მიერ მისი საქმიანობის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შეწყვეტის შემთხვევაში.
- 7.2.5 თუ მზღვეველმა დამზღვევს შეატყობინა პოლისზე პრემიის გადახდის ვადაგადაცილების შესახებ და ასეთი შეტყობინებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში დამზღვევი სრულად არ დაფარავს დავალიანებას.
- 7.2.6 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8. შეტყობინებები და კომუნიკაცია

- 8.1 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული მიზნებისთვის, საკომუნიკაციო საშუალებად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სადაზღვევო პოლისში მითითებული მისამართი ან/და მობილური ტელეფონის ნომერი, რაც გულისხმობს იმას, რომ მზღვეველის მიერ ამ მისამართზე გაგზავნილი წერილი ან მობილურ ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინება (მათ შორის მოკლე ტექსტური შეტყობინება) ჩაითვლება მზღვეველის მიერ გაკეთებულ ოფიციალურ წერილობით შეტყობინებად; შეტყობინების ტელეფონის ნომერზე გაგზავნის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ შეტყობინების გაგზავნის დღე ჩაითვლება ადრესატისათვის შეტყობინების ჩაბარების დღედ.

- 8.2 მზღვეველის მხრიდან დამზღვევისათვის/დაზღვეულისათვის შეტყობინების გაგზავნა მოხდება სადაზღვევო პოლისში მითითებულ ფაქტობრივ მისამართზე ან მისამართის შეცვლის თაობაზე, ამ პირობებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, მზღვეველისათვის გაცხადებულ ბოლო მისამართზე. ასეთ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება/კორექსიონდენცია ჩაითვლება დამზღვევის/დაზღვეულის მიერ მიღებულად, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ იმყოფებოდეს ან მისამართი არასწორად/არაზუსტად იყოს გაცხადებული მზღვეველისათვის.

9. დავათა გადაწყვეტა

- 9.1 წინამდებარე დაზღვევის პირობებთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, დავა განიხილება და გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს საერთო სასამართლოსათვის მიმართვის გზით.

10. კონფიდენციალობა

- 10.1 მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის ნებისმიერი ფორმით (ზეპირი ან წერილობითი) მიწოდებული ყველა ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად და არ შეიძლება მისი მესამე პირისათვის გადაცემა მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

- 11.1 დამზღვევი ანიჭებს მზღვეველს უფლებამოსილებას, რომ განხორციელებული დაზღვევის ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემები, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები დაამუშოს: ა) სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნით, ბ) მზღვეველის ინტერესების დაცვის მიზნით, გ) მზღვეველის მიერ შესაბამისი სახელშეკრულებო ან/და საკანონმდებლო ვალდებულების შესრულების მიზნით და დ) ზარალის დარეგულირების მიზნებისათვის. აღნიშნული მიზნებისათვის მზღვეველი ასევე უფლებამოსილია ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან, მათ შორის შსს მომსახურების სააგენტოდან და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან, გამოითხოვოს დამზღვევის/მოსარგებლის პერსონალური ინფორმაცია ან/და სხვა საჭირო დოკუმენტაცია.
- 11.2 დამზღვევი ანიჭებს მზღვეველს უფლებამოსილებას, რათა მისთვის მიწოდებული პერსონალური ინფორმაცია დაამუშოს, ასევე, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის - ახალი სადაზღვევო პროდუქტებისა და მომსახურების შესათავაზებლად. მონაცემთა სუბიექტს, უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მზღვეველს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი - მზღვეველისათვის წერილობითი ან სატელეკომუნიკაციო საშუალებებით მიმართვის გზით.

- 11.3 დამზღვევი ანიჭებს მზღვეველს უფლებამოსილებას, რომ სადაზღვევო მომსახურების შეთავაზების ან/და ხარისხის ან/და დაზღვევასთან დაკავშირებული კვლევ(ებ)ის მიზნით დაამუშავოს, მათ შორის პარტნიორი ორგანიზაციებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს დამზღვევის/მოსარგებლის პერსონალური მონაცემები.
- 11.4 დამზღვევი ანიჭებს მზღვეველს უფლებამოსილებას, რომ დამზღვევთან სადაზღვევო ურთიერთობების შესახებ ინფორმაცია (მოქმედების ვადა, სტატუსი, სადაზღვევო პრემია და სხვა) დაამუშავოს, მათ შორის ხელმისაწვდომი გახადოს მზღვეველის აგენტ(ებ)ისათვის ან/და პარტნიორი ორგანიზაციებისათვის, რომელსაც/რომლებსაც ამგვარ ინფორმაციაზე წვდომა ესაჭიროებათ მათი უფლება-მოვალეობების შესრულებისათვის და მზღვეველის მიერ მისი შესაბამისი სახელშეკრულებო ან საკანონმდებლო ვალდებულებების შესრულებისათვის.